


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 33 ივლისი 30, 1895 წ. № 33

შინაარსი: საქართველოს თავად-აზნაურობისა და ინტელიგენციის მიმართ, არაგველისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბებ.—ვუძღვნი წრეს გადასულებს—ლექსივანო ჩხაცარაშვილისა.—გრიგოლ წერეთლის ირემი (მოხუცის ნაამბობი), აკაკისა.—მარგალიტის თვალი.—მომავალში საქართველოს შვილთა მოქმედების პროგრამა, ბალტაზარისა.—გაკვირვებითი ნიშანი, ქჯდისა.—საშინელი ქარიშხალი, მოთხრობა დუტუ მეგრელისა.—შეცდომის გასწორება.—ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის განცხადება.

## საქართველოს თავად-აზნაურობისა და ინტელიგენციის მიმართ

ამ მიმავალი 1895 წლის ენკენ. 11-ს შეუსრულდება სწორეთ ერთი საუკუნე ჩვენთვის მწარე მოსაგონებელს, საგლოვარს და შავით შესამოსელს ისტორიულ ამბავს. იმ დღეს, მრავალ საუკუნოების განმავლობაში დაუდგრომელი ბრძოლით აუარებელ მტრებთან და ბოლოს დროს შინაგანი ურთიერთშორის მტრობით და შურით დაძაბუნებულ საქართველოს სპარსეთმა ალა-მაჰმად-ხანის ბელადობით დასცა უკანასკნელათ თავ-ზარი და ბოლო მოუღო. იმ დღეს ჩაევო ქარქაშში სამუდამოთ ირაკლის „ხმალი მღელვარე“, დაბლა დაეშვა და აიკეცა მრავალი გამარჯვების და გამარჯვება-დამარცხების მნახველი საქართველოს დროშა. თუ კერძო პირთა ცხოვრებაში წესათ მიღებულია, რომ მიცვალებულს ნათესაობა წლის წირვას გადაუხდის და უკანასკნელათ იგლოვს, ხალხთა ისტორიულ ცხოვრებაში წელიწადს საუკუნე უდრის და საუკუნის თავზე ისეთივე წირვა უნდა ჰქონდეს გადახდილი საგლოვათ ასეთ ისტორიულ მოვლენას მით უფრო დიდი სიამაყით და სიამპარტავნით უნდა აღინიშნოს ეს ჩვენთვის სავალალო დღე, რომ საქართველო დაეცა მაჰმადის მოსავთა ბრძოლაში არა ლაჩრათ და ჩვენთვის სასირცხოთ, არამედ გმირულათ, როგორც შეჰშვენის თავგანწირულს რაინდ ჯვაროსანს. სხვა ყველაფერში რომ ეჭვი შეიტანონ, იმ საოცარ გმირობას, რომელიც იმ დღეს დაანახვა ქვეყანას სამასმა თავგანწირულმა არაგველმა, ვერაფრით ვერ ამოფხვრენ ისტორიიდან.

„აი სამასნი გმირები დუშეთით თფილისს მოსულნი მეფის შეწევნათ და მის წინ მისთვისვე შეფიცებულნი:

„თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა განვსდევნეთ მტრის ძალი,
იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან შინა წავიდეს ცოცხალი!“

—

და გადიწერეს პირ-ჯვარი, ვაჟკაცებმა ხმალი იშიშვლეს
და შევარდნებმა მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს!
შესძახეს... გაჭყვანტეს, მარამა ზედ თავიც თვისი დააკლეს...
ფიცი ვაჟკაცთა წმიდა არს, მათცა სიკვდილით შემოწმეს!..“.

შემდეგ სამართლიანი საყვედურით მოთქვამს პოეტი:

„და სად დასთხიეს გმირთ სისხლი, აწ ვმზერთ სიამით ბაღსა მწვანეთ,
მუნით მოისმის ღხინის ხმა გულ-უზრუნველთა მოლხინეთ.
და მას წმიდასა ალაგსა, თაყვანსაცემსა ღირსებით,
გლახ უმეცრება ფეხ-ქვეშ სთრგუნავს გ-ლითა უგრძნობით!“

პოეტის უკანასკნელი გულ-ჩასათუთქი სიტყვები პირდაპირ გვითითებენ, რაში უნდა მდგომარეობდეს ეს საგლოვიარო დღესასწაული. სწორეთ უმადური და ულირსი შვილები ვიქნებით იმ საოცარი ვაჟკაცებისა, რომ ას წელს შემდეგ მაინც რამე მცირედი ძეგლით არ აღვნიშნოთ მათი თაყვანსაცემი საფლავი და „გლახ-უმეცრებას ფეხ ქვეშ აღარა დავათრგუნვინოთ გულითა უგრძნობით“.

ამის პროგრამა უნდა შეიმუშაოს ცალკე კომიტეტმა, რომელიც ახლავე უნდა იყოს ამორჩეული. სანატრელია, რომ ამ დღესასწაულს დაესწრენ საქართველოს ყველა თემების (ხეობების) და თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი. მცხეთის ტაძარში უნდა იყოს გადახდილი ჯერ მოსახსენებელი წირვა და შემდეგ მეფე ერეკლეს საფლავზე პანაშვიდი. მეორე დღეს კრწანისის ველზე, სადაც სამასმა გმირმა მამულს და სარწმუნოებას თავი შესწირეს და სადაც, რასაკვირველია, წინეთ იქნება ამორჩეული ძეგლის დასადგმელი ადგილი, აგრეთვე უნდა იყოს გადახდილი პანაშვიდი. აქვე ჩვენი პოეტები წაიკითხავენ მომენტის შესაფერ ლექსებს და ჩვენი მეისტორიენი განუმარტავენ ხალხს იმ დღის ისტორიულ მნიშვნელობას და საუკუნოთ კეთილათ სახსენებელ გმირთა თავ-გადასავალს. აგრეთვე სასურველია, რომ იმ დღეს ჩვენს სათავად-აზნაურო შკოლაში იყოს გამართული შესაფერი საისტორიო მოხსენება და ქართულ თეატრში დაიდგას „სამშობლო“. ამით, მგონია, უმთავრესი მუხლნი პროგრამისა კიდეც აღვნიშნე.

ვაჟკაცი თუ გლოვობს, სულით და გულით გლოვობს და უცხოს საჩვენებლათ და, ვითომ, საგულისხმიეროთ ბუკსა და ნაღარას არ დაჰკრავს. იმ დღეს გულწრფელი ცრემლი გვმართებს და სხვა არაფერი. ნუ შეგვრცხვება ამ ცრემლისა, ამიტომ, რომ

„რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდ სულოვნების შვილია!“

ერთი არაგველთაგანი

## სხვა-და-სხვა ამბები

დოქტორ კომპსომს, პროფესორ ბერინგის ასისენტს ხოლერის საწინააღმდეგო შრატი უპოვია. ცხოველებზე უცდიათ ამ შრატის ზედმოქმედება და შედეგიც კარგი ყოფილა.

*
* *

მელქისედეკ ხოჯაშვილს ერთი ხელთნაწერი ჩაუვარდნია თამარისა და მისი ქმრის დავით სოსლანის შესახებ. ხელთნაწერი 1187 წ. ყოფილა დაწერილი. რედაქცია დიდ მადლობას უძღვნის ბ. მელიქ. ხოჯაშვილს ამ ხელთნაწერის შემოწირვისათვის და თხოვს გადასცეს იგი გ. ე. წერეთელს, რომელიც ამ ჟამათ საჩხერეში იმყოფება.

*
* *

ივნისის 21 ბორგრევინმა აცნობა საერთა-შორისო გეოგრაფიულ კონგრესს ლონდონში, სამხრეთ პოლიუსთან ხმელეთი აღმოვაჩინეო, რომელიც ევ-

რომპზე ორჯელ უმეტესიაო და მდიდარი არის მცენარეებითა, მადნებითა და გუანოთიო (გუანო ზღვის ფრინველების განავალია და მიწის გასანოყიერებლათ საუკეთესო მასალა.)

* * *

ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნაკი მ. იანქოშვილის მიერ შედგენილი: ,,ელექტრონი და საოცარი მანქანები".

* * *

სოფ. სვერში (შორაპნის მაზრაშია) გასულ თიბათვეში გლეხს პავლე ცუცქირიძეს მეხი დაცემია და იქვე სული გაუტევებია. საწყალს წვრილი ცოლ-შვილი დარჩენია. ივლისის 17-ვე მეხი დაცემია სახლს სესია ცუცქირიძისას და სახლს ცეცხლი გაჩენია. ამ ორი შემთხვევით ხალხი ფრიად შეშინებულია და დღემდის გონს ვერ მოსულან.

* * *

ყვირილაში 12 ივლისს საღამოს ოთხ საათზე სადგურის დეპოს რკინის სახურავი ჩამონგრეულა თავისთავათ, ხუთი მუშა დაუმტვრევია—ორი სასიკვდილოთ.

## საყურადღებო ამბები

### ისტორიული ნაშთნი ქვემო იმერეთში.

ყოველ ზაფხულობით, ჩვენი ისტორიკოს-მეცნიერნი საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებისაკენ მიემგზავრებიან, რათა გამოიკვლიონ, თუ სად რა ისტორიული ნაშთია; გეოგრაფიულათ და ისტორიულათ აწერონ ეს კუთხეები, გაიგონ ხალხის ზნე-ჩვეულებანი, შეჰკრიბონ ხალხური ზღაპრები, ლექსები და ზეპირ-თქმულებანი. ქვემო იმერეთი კი უყურადღებოთაა მიტოვებული. რატომ? ნამდვილათ ამის მიზეზი არ ვიცით, თუმცა, ჩემის ფიქრით, არც ქვემო იმერეთი ჩამოუვარდება სხვა საქართველოს კუთხეებს ისტორიულ ნაშთებით, რომლებიც ღირსნი არიან ყურადღებისა. მაგ. სოფლები გეგუთი, ვარციხე და უფრო სოფლები საჩინოში *) სავსენი არიან ნანგრევი ციხე-კოშკებით, ძველებურ საყდრებით და სხვა შენობებით. ამიტომ ძლიერ კარგი იქნება ჩვენი ერთი ისტორიკოს-მეცნიერთაგანი გვეწვიოს, დაათვალიეროს აქ ჩვენი ძველი, დიდებულნი ნაშთნი ისე, როგორც სხვაგან, და აგვიწერონ, თორემ რაც დრო გადის, იმოდენათ მათი რიცხვი კლებულობს და ბოლოს სულაც მოისპობა მათი სახელი ქვეყნათ. თუ რომელიმე ჩვენი ისტორიკოს-მეცნიერთაგანი მოისურვებს წამოსვლას ქვემო იმერეთში და დათვალიერებას იმ ნაშთებისას, ვთხოვ მობრძანდეს ქვემო იმერეთშივე (ქუთაისის მაზრა) ს. საყულიაში მღ. პლ. ჯინჭველაშვილთან და იქიდან მე თვითონ წავიყვან იმ სოფლებში, რომლებშიაც არიან ისტორიულნი ნაშთნი და გამოიკვლიონ ისინი როგორც ისტორიულათ ისე გეოგრაფიულათ.

ყვირილის სამრევლო შკოლის მასწავლებელი

ს. ჯინჭველაშვილი

*) საჩინო ჰქვია იმერეთის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, უჭირავს მთა-გორიანი ადგილი ზემო იმერეთივით და მრავალ სოფელთაგან არის შემდგარი.

* * *

### კიდევ გაუმარჯოს კაკაბის მანდილოსნებს!

18 თიბათვეს კაკაბის ქართული სკოლის დარბაზში გამართული იყო სახალხო ვაჭრობა შემოწირული ნივთებისა და შემდეგ სკოლის წლიური აქტი. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, კაკაბის ქართულ სკოლას ქალების კომიტეტმა კარგი ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინა წინეთ წარმოდგენით და ახლა სახალხო ვაჭრობით. ამ სავაჭრო ნივთების შეგროვებაში დიდი მოღვაწეობა მიუძღვით ქ-ნთ

კნ. დ. ხიმშიაშვილისას, ბ. კარგარეთლისას და დ. მოზდოკელოვისას. თუმცა ცუდი ამინდი დაგვიდგა, მაგრამ საზოგადოება მაინც ისე ბლომათ დაესწრო, რომ დარბაზში ველარ მოთავსდა, ნახევრობა გარეთ იდგა. ნივთები სულ გაიყიდა და შემოვიდა 150 მანეთზე მეტი.

წლიური აქტი დაიწყო 12 საათზე. სკოლის ანგარიში წაიკითხა ამავე სკოლის მასწავლებელმა ლ. გ. ბოცვაძემ. მოსწავლეების გუნდმა, მასწავლებელ ბოცვაძის ლოტბარობით, შვენივრათ იმღერა ქართული და რუსული სასიმღეროები. ამან კი დიდათ ასიამოვნა საზოგადოება. რამდენმამე მოსწავლემ საუცხოვოთ წაიკითხა ქართული და რუსული ლექსები. პატარა ლექტორებს საზოგადოება „ვაშას“ ძახილითა და ტაშის კვრით აჯილდოებდა. კურს დამთავრებლ მოსწავლეთ მოწმობა დაურიგდათ, რამდენიმე მოსწავლეს კი საჩუქრები მიეცა. საზოგადოება დიდათ ნასიამოვნები დაიშალა.

ი. ფანიაშვილი.

***

ქ. ქუთაისი. მადლობა ღმერთს! დიდ ლოდინსა და მეცადინეობას შემდეგ ქუთათურ ნოქრებს ელირსათ კვირა-უქმე დღეებში წირვაზე წასვლა და ქრისტეს მოძღვრების სმენა-გაგონება. ნოქრების გარდა თვით ზოგიერთი „ხაზეინებიც“ მადლიერნი არიან გადაწყვეტილებისა. ბევრ ვაჭართაგანს კი არ ეპიტნავათ ნოქრების ასეთი განთავისუფლება, მაგრამ მათ ეს უვიცობისა გამო მოუდით, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმნენო ზოგმა ვაჭარმა სულ სხვანაირათ გაიგო ეს გადაწყვეტილება. ისინი ამბობენ, რომ დუქნების ნოქრებს არ შეეხება ეს დაკანონებაო, რადგან ასეთ დუქნებში ნოქრებს მცირე შრომა აქვთო. დალოცვილებს კი აღარ აგონდებათ, რომ ტყვილა ჯდომას ტყვილა სიარული ჯობიაო.

დაუყოვნებლივ საჭიროა, რომ პოლიციის მოხელეებმა, განსაკუთრებით ბ. სურგულაძემ მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და ნოქრებს თავის უფლების განხორციელება შეაძლებინონ.

***

ოზურგეთის მაზრა ერთი წლის წინეთ გზების უქონლობისაგამო გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო. მცხოვრებთ თავიანთი ნაწარმოები ვერ გაქონდათ ქალაქებსა და დაბებში და რკინის გზის სადგურებზე. ვინც მდინარე სუფსის ახლო იყო, მას თვისი ნაწარმოები ნავებით მიქონდა გრიგოლეთში, შავი ზღვის პირათ,—მეტი საშუალება არა იყო რა. ერთი წელიწადია, რაც მაზრის უფროსმა, ბ-ნმა ალშიბაიამ მოჰფინა თავისი უხვი წყალობა ამ მხარეს. დღეს ყოველ სოფელში გაყვანილია ფართო მოკენჭილი გზები და ამით გაადვილებულია მისვლა-მოსვლა და გადატან-გადმოტანა. ხოლო ამ ღირსებას მოკლებია ერთი სოფელი ჯუმათის საზოგადოებიდან სადგურ ჯუმათამდის. (ამ მანძილზე არის ორი საზოგადოება - ჩოჩხათისა და ჯურუყვეთის). ამ მოკლე ხანში ცხენით წაველი სადგურ ჯუმათზე. შვენიერი დარი იდგა და დღე მზიანი იყო. მაგრამ ჯუმათის მოკენჭილი გზა რომ გავათავე, შევხვდი გზაზე ტატახს. მეგონა გავიდოდი, მაგრამ მოვტყუვდი: ცხენი უეცრათ ტალახში ჩამეფლო და ძლივს-ღა ქვეითი მგზავრების საშუალებით იქიდან ამოვათრიე. ასეთი გაჭირვება თითქმის ათჯერ შემხვდა სადგურზე ჩასვლამდი და ძლივს ნახევარი საათის სასიარულო ორ საათს გავიარე. იქვე ყანაში მომუშავე გლეხს დავეკითხე, თუ რატომ გზა არ გაუკეთებიათ.—შარშან გზის ზედამხედველმა ჩოჩხათისა და ჯურუყვეთის მამასახლისებს მიუზომა გასაკეთებლათო, მიპასუხა, მაგრამ მამასახლისებმა ყურადღება არ მიუქციესო. მაზრის უფროსმაც კი დაათვალიერა მთელი სოფლის გზები, მაგრამ ამ გზას აცილეს და სულ სხვა გზები უჩვენესო. ჩვენ ღარიბები ვართ, მმართებლობისთვის რომ გვეთხოვნა, არძა და მარკები გვჭიროდა, ვერ შევიძელით, ისე კი ვინ მოგვაქცევს ყურადღებას! ახლა ხარ-ურმები სახლში უქმათ გვიყრია უგზოობის გამო, სამუშაოთ ვერ გაგვყავს და ასე ვიჩაგრებით. მამასახლისი კი გრიგოლეთსა და ფოთში გვამუშავებს, სხვის გზებს გვაკეთებინებს, ჩვენი ასე რჩება. მთელი ოზურგეთის მცხოვრებთათვის კი ეს გზა მიუცილებლათ საჭიროა. იმედია ამგზას მალე გააკეთებენ და მცხოვრებლებს გაუადვილებენ ჯუმათის სადგურზე ნაწარმოებთა გადატან გადმოტანას.

ს. ი. ერ—შვილი.

***

ს. ფუთი მდებარეობს დ. ყვირილიდან რამდე-

ნიმე ვერსის მანძილზე. არ ითქმის, რომ ეს სოფელი ღარიბი იყოს, მაგრამ ჯერ ერთი ხეირიანი სკოლა მაინც არ აქვს. სამი წელიწადია, რაც ხალხს სურს ააშენოს სამრევლო სკოლა, მაგრამ ადგილობრივი მღვდელი სრულებით გულ-ცივათ ეკიდება ამ საქმეს, ამის გამო კი შკოლის საქმე ბრკოლდება. აქ ერთი ახალგაზდაა, მას მასწავლებლობის ნება აქვს და ხალხს ჩააგონა შკოლა აეშენებია მისთვის. ხალხმა დიდი სიხარულით მიეგება ამ ყმაწვილის კეთილს აზრს. შეუდგენ შკოლის შენებას, მაგრამ ამ დროს ადგილობრივი მღვდელი შეებრძოლა ამ წმინდა საქმეს, ხალხს გული აუცრუვა და შკოლის შენებისათვის თავი დაანებებინა. ასეთნაირათ ხელის შემშლელია სოფლებში ხოლმე უსწავლელი მღვდლები.

ალ—ნე ფუთელი.

## ვუძღვნი წრეს გადასულებს.

რათ გვინდა შენი სიმდიდრე,
ოქრო და ვერცხლი ფულია,
თუ გაჭირვებულს არ არგე,
არ განუკურნე წყლულია.
თუ კაცს არ მიცემ შველასა,
ცეცხლში რომ ჩავარდნილია;
გაჰქრი შენც, შენი სიმდიდრე,
შენი სახელიც კრულია!
არ გვინდა შენი ნახვა ჩვენ,
ვთხოვთ ღმერთს მოგთხოვოს სულია;
ვხედავთ აღარ ხარ საჩვენო,
ეკლათ ხარ ამოსულია!
რომ კაცს შეასო წვეტები—
ნემსივით წვრილ-მახვილია;
სხვის სისხლს შეურთო ის შხამი,
რითაც ხარ მოგლესილია.
თორემ ვინლა თქვა, საშველათ
შენა ხარ გაჩენილია?
მხოლოთ რომ ავნო შენს მოძმეს,
დაჩაგრო დაჩაგრულია,—
ამიტომ გაჩნდი შენ ქვეყნათ
ეს გქონდა დანიშნულია?..
ოჰ, გაჰქრი, ბიწო, ცბიერო,
ხარ ღვთისგან დაწყევლილია!..
მე ვწყევლი, ღმერთმაც დაწყევლოს
დედის ამგვარი შვილია!

ვანო ჩხაძარაშვილი

## გრიგოლ წერეთლის ირემი

(მოხუცის ნაამბობი)

საჩხერეს მიმავალი, გზაში ერთ მოხუცებულ ცხენოსანს წამოვეწიე. რომ დამინახა, შეაჩერა ცხენი, მოინდომა გადმოხტომა, მაგრამ ვეღარ მოახერხა; გაჩერდა და მოწიწებით შემომაჩერდა. შევატყვე, რომ ძველებურ წესზე იდგა და ჩემგან, როგორც უფროსისაგან, ელოდა სალამს. მეც „გამარჯობა“ ვუთხარი. ჩვეულებრივი ძველებური ზდილობა რომ მოვიხადეთ ერთმანეთთან, მოხუცმა დაკდემით მითხრა: „უკაცრავათ, თქვენი ჭირიმე!.. ვერ ჩამოვხტი და ასე უზდელათ შევრჩი ცხენზე, მაგრამ დალახვროს ღმერთმა სიბერე, ფეხებში ბორკილი მიყრია“.

— ბორკილი?! დავეკითხე გაკვირვებით.

— დიახ, ბორკილი!.. მიქელ-გაბრიელის ბორ-

კილი, რომ არსა გაეექცე იმ ძალოცვილს... ვაი ამ დროს გადამკიდეს თვარა, რაღა დროს ჩემი აქეთ-იქით ღოღიალია? ამ ახლო-მახლოს ჩემი ხნის ქვაც აღარსად არის!..

— სად მიდიხართ?

— მივდივარ კი არა, მიმათრევენ!.. აგერ ოცი წელიწადია სახლიდან გარეთ ნებით ფეხი არ გამომიდგამს და ახლა კი ძალა-უნებურათ მაწანწალებენ... სუდში გიახლები.—

— საქმე გაქვსთ რამე?

— მე ვისთან რა საქმე უნდა მქონდეს, შენი ჭირიმე?.. ჩემი ხნის კაცი ეკკლესიაში თუ წავა ისიც დიდია მისთვის!.. მე კი არა, სხვები მათრევენ ტყვილა-უბრალოთ, ჩემი გატანჯვა რომ უნდათ!.. ხან დილას მნიშნავენ მოწმეთ და ხან საღამოს!..

— ვინ არიან ეგ შეჩვენებულები?

— აი, ღმერთმა ნუ იცის მათი თავი და ტანი!.. ის ღვთის რისხვა ჩემი სახლიკაცი მყავს გადამტერებული და აღარ მასვენებს: ცოტა ფული შემაგულა... ორიოდე ფარა მაქვს სამარხათ გადადებული!.. ჯერ, ბატონო, მოციქულები შემომიჩინა, მაგრამ მოყვრობით და სიამ-ტკბილობით რომ ვერას გახდა, ვითომ ძალა დააპირა, მაგრამ ან ძალით რას გახდებოდა? ოჯახში კაცლიერათ გახლავართ, შვილითა და შვილი-შვილებით სავსეა ჩემი ოჯახი!... და ბოლოს ამ ახალ კანონს დაადგა!.. „ცალიერ კაცს საბაჟოზე მიუხაროდაო“ ტყუილა კი არ არის ნათქვამი.—ახლანდელი კაცები ასე გარბიან სუდში, თვითქო კაი თემში მიდიოდნენო... ჩემი სახლიკაცის ხელობაც ის არის, დღე ერთია და მისი საჩივარი ათი... ყოველ საქმეში ბრალიანია, თუ უბრალო, მოწმეთ მე მნიშნავს... უნდა რომ ამ თრევაში სული ამომხადოს. გაეხედავ, მომდის „უწყება“. თუ არ წავედი „სწრაფს“ მახდევინებენ და თუ წავედი—ვარ ამ დილიდან საღამომდე ატუზული სასამართლოს კარებზე... ჩემი ცხენი მშიერ-წყურვალი ღობეზე თავ-მიკრული... ვიცდით... ვიცდით... ბოლოს როცა იქნება დამიძახებენ. სახელსა და გვარს მკითხვენ... ამდენხანს როგორ ვერ დაისწავლეს იმ ოჯახ დაქცეულებმა... ასჯერ ხომ უკითხავეთ!.. დამიწყებენ დაცინებასავით აქეთურს.იქითურს და ბოლოს მეტყვიან, „ამა და ამ საქმის“ „რა იციო“. მეც მოვახსენებ: „არაფერი-თქო“ და დამანებებენ თავს. ი ჩემი სახლიკაცი ღრეჯას მოყვება და მე კი გულზე ვსკდები!.. ვეღარ გაუძელი ამდენ ტანჯვას. ერთხელ შევედი კანცელარიაში და შევჩივლე ყე, ასეა ჩემი საქმე. მტერობით მნიშნავს მოწმეთ, რომ ფული არ ვასესხე, და ახლა თუ რამეს მიშველით ოღონდ მის გულისათ ნუ გამხდით და ნახევარი ჩემი სამარხი თქვენი ჭირის სანაცვლოთ იყოს-მეთქი... ღმერთმა უშველოსთ ერთ ხანს კვე მომასვენეს, მაგრამ ახლა ასე მიბარებენ! ალბათ იმ ნახევარ სამარხსაც რომ მეგულებიან, იმას შეუყურყუტებენ. ეჰ, რა ვუთხრა ამისთანა დროს?.. მგელს თუ გადაურჩი—ძაღლი შეგჭამსო“... მოხუცებულის ჩივილმა მეც დამაღონა... შემებრალა და, რაც კი შევიძელი, ვანუგეშე და დარიგება მიეცი, დავპირდი, რომ მსაჯულს მე თვითონ მოველაპარაკები-თქო!.. დიდხანს ასე მივდიოდით, რომ ხმა აღარ ამოუღია, სანამ საჩხერეში არ შევედით... მაშინ კი მიმითითა მაღლობისკენ ერთ სახლზე და მკითხა: „ვისია ბატონო ეს სახლი?

---- ჩამადანოვის!..

— ვისი, ბატონო?!. ეს გრიგოლ წერეთლის სახლი არ იყო?

— იყო და აღარ არის! ახლა გადამთიელს უჭირავს ხელში.

— დიდება შენს სამართალს ღმერთო!.. „ცანი და ქვეყანანი წარხდენ, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა წარხდენო!“ თქვა სასოებით, მოიხადა ქუდი და მოუხშირა პირჯვრის წერას. აი, ბეჩა რისი მნახველი ვარ და რას მოვესწარი?!.. ერთმა ირემმა ამოაგდო ეგ ოჯახი!.. არც ქვეყანას დააყარა ხეირი, მაგრამ ის დიდებული ოჯახიც კი ამოფხვრა.

— ირემმა? ირემი იყო თავდა-პირველი მიზეზი ქვეყნის არევ-დარევის, ბოლო დროს გრიგოლ წერეთელი ასე გაძლიერდა, იმაზე უფროსი ჩვენში აღარავინ ყოფილა. დიდი გასავალი ჰქონდა?.. უჯეროდენ სათავეში!.. ყველას ეშინოდა მისი. ისიც მძლავრობდა და ბატონობდა... სადაც კი სანაქებო რამ გამოჩნდებოდა ან ნივთი, ან საქონელი, ან სხვა რამე, სულ მისი იყო. თუ ნებით არა, ძალით იშოვიდა.—ავსილი ჰქონდა ოჯახი, რას არ ნახავდით მის სახლში? ასე გასინჯეთ თუთიყუშებიც კი ჰყავდა!.. სხვათა შორის ერთი ქორ-ბუდიანი ირემი ჰყავდა გაშინაურებული... იმაზე უშვენიერესი აღარა ნახულა-რა!.. მაგრამ რათ გინდა? ეშმაკის გაწერთნი-

ლი იყო: რომ აუშვებდენ ხან-და-ხან და დაეშვებოდა ქალებისაკენ... თვალის დახამხამებამდი შემოირბენდა ტყე და ველს, ხვადაბუნებს გადალმა გადაიჭრებოდა, ხან აქ იყო, ხან იქ... საღამოს ისევ სახლში ბრუნდებოდა... ნავარდი უყვარდა, მაგრამ ხალხს კი კარგათ არ უხდებოდა მისი ნავარდი—ბევრი მარცხი ხდებოდა!.. ვისაც კი დაინახავდა, არ დაზოგავდა... აილებდა რქებით და აბურთავებდა... რომ გაიგონებდენ მის ყვირილს, შიშით კარში ველარავინ გამოდიოდა... ვაი იმ მგზავრის ბრალი, ვინც ხეზე, ან სახლის თავზე არ შეასწრებდა! ბევრი ცოდვა ჩაიდინა, მაგრამ ვინ რას ჰკადრებდა? ვინ გამოიღებდა ხმას გრიგოლ წერეთლის შიშით?!. ერთხელ ბექან წერეთლის გუთნის-დედა, შქმერელი გლეხი სულტანიშვილი მიდიოდა გზაზე და ხარ-კამბეჩს მიირეკავდა!.. შეეფეთა ის ირემი, წამოიცვა რქებზე და ასე გახადა, რომ სიკვდილზე მიაყენა... მშველელი არსად ჩანდა, და რომ კიდეც სადმე ყოფილიყო ვინ გაბედავდა შიშით მოგერებას? ამ დრ ოს გამოიარა თედორე ჭილლაძემ, დაინახა, რომ მისი ბატონის გუთნის-დედა რქებზე აუგდია ირემს, გულმა აღარ მოუთმინა, გადაიწერა პირჯვარი, გადმოიღო თოფი, მიაჭედა ტყვია შუბლში და გააგორა ირემი. თვითონ გადავარდა, ეს თედორე გამოჩენილი გლეხიკაცი იყო და ბატონის საყვარელი.—მისი გამბედაობა ყველას გაუკვირდა. ირემი გზა-შარაზე ეგდო მიკარება და ხელის მოკიდება ვერავინ გაბედა შიშით. —გამვლელ-გამოვლელები მიუჩოქებდენ და ტიროდენ: ვაიმე, ჩვენო ირემო, ვინ გაბედა იმ ცოდვის შვილმა შენი ხელის შეხება?.. ვინ გაირისხა ღმერთი და გაიწყრომა ბატონი გრიგოლიო! და სხვანი... ამას ხმა მაღლა მოთქვამდენ სხვების გასაგონებლათ და ჩუმათ კი ილოცებოდენ: „ღმერთმა ააშენოს თედორე ჭილლაძის ოჯახიო?.. გრიგოლ წერეთელმა რომ გაიგო ირმის სიკვდილი, შეუთვალა მის სახლიკაცს ბექან წერეთელს: „თუ ეგ შენი ყმა, ჭილლაძე შეკრული არ გამომიგზავნე, მაშინ სწორეთ, მე და შენი მოყვრობა აღარ ივარგებსო." ბექანმა უარი შეუთვალა და ამ დღიდან კიდეც გადაიმტერა გრიგოლ წერეთელი.—არა თუ მარტო ბექანს დაუწყო დევნა, მის მახლობლებსა და მოკეთეებსაც აღარ ზოგავდა. ჩაბეზღებული ბექანი დიდხანს იმალებოდა ორლუღის ტყეში... გადავარდნილი იყო და სახლს ველარ ეკარებოდა. ქუთათელი მისი ბიძა იყო და ვიცით რაც დღე დააყენა. გენათელიც თან მიაყოლეს!.. რაღაი ერთხელვე გაიგერში გრიგოლ წერეთელი, გაუკემრიელდა საშოვარი და სხვებსაც მიჰყო ხელი: დიდი ივანე აბაშიძე აიკლეს და ახალციხეში მოიკლა... წულუკიძეები ააოხრეს .. ნიჟარაძეები დაიჭირეს და სხვანი... სხვების დამცირება, წერეთელს უფრო და უფრო ამაღლებდა. იყო დიდ საშოვარში და დღითი დღე ძლიერდებოდა მისი ოჯახი.—სხვები რომ ტიროდენ, ის იყო ერთს ლხინსა და შექცევაში. ერთხელ, მხიარულ გულზე, გრიგოლმა, ივანე წერეთელმა, და პეტრე არხიმანდრიტმა ჩამოაგდეს საუბარი ფილოსოფიაზე. ზოგი ეს თქვეს, და ზოგი ის. დიმიტრი წინამძღვარი, აბრამიშვილი აქვე იჯდა და ყურს უგდებდა. „რატომ შენ არას ამბობო?" ჰკითხა გრიგოლმა

„მე რა უნდა მოგახსენოთო? მიუგო წინაძღვარმა—მე ქვეყნის კი არა, ჩემი თავისაც ვერა გამიგია-რაო!.. ჩემი ფილოსოფია ჟამნი და დავითნია, სადაც წერია: „უკეთუმცა უფალმა არა აღაშენოს სახლი, ცუდათ შვრებიან მაშენებელნი მისნიო". ყველას გაეცინა, მაგრამ ივანე მიუბრუნდა გრიგოლს და უთხრა: „ეგ ბერი შენზე წინასწარმეტყველობს, და ფრთხილათ, გრიგოლ, რომ სახლი არ დაგემგეროსო". მას აქეთ ჯერ საუკუნეც არ გასულა და, აი, როგორ ახდა ის სიტყვა!.. დაიქცა დიდებული ოჯახი და გადამთიელი დაეპატრონა. ეს უბედურება სულ იმ ერთს ირემს მოჰყვა. ქვეყანაც დაიღუპა და იმ ირმის პატრონიც!.. იმ დღეს აქეთ ირმებიც გაწყვენ ჩვენში და ქორბუდიანიც გადაშენდა.—დიდება შენს ძლიერებას, ღმერთო, დაამატა პირჯვრისწერით მოხუცმა, გამომეთხოვა და გადუხვია სამსჯავროსაკენ.—დიდხანს მიწიოდენ ყურში მოხუცის სიტყვები და, დღესაც უსამართლოთ გაძლიერებულს რომ ვისმეს ენახავ, გულში ვიმეორებ: „არა თუმცა აღაშენა უფალმა სახლი, ცუდათ შვრებიან მაშენებელნი მათი-თქო"!...

აკაკი

## მარგალიტის თვალი.

დიდიხანია, რაც ადამიანი საშვენებლათ მარგალიტს ხმარობს. დღესაც ადამიანის თვალში მარგალიტს ეს ღირსება და ფასი არ მოკლებია. ადამიანს ისე მოწონს იგი, რომ ყოველიევეს, რაც კი კარგი ღირსებისაა, სუბთა, ძვირფასი და იშვიათია, მარგალიტათ ასახელებს. უეჭველია, მარგალიტი იმიტომ არის ასე მოწონებული, რომ მკრთალი და ნაზი ფერისაა. უსიამოვნოთ ბრწყინვალე არ არის. მარგალიტი ისე გამოკრთის, თითქო ნისლში გახვეული ცისარტყელა ანათებსო. ამასთანავე იგი ისენაირათ და სისრულით არის მორგვალებულ-გამოქრილი, რომ ამას ადამიანი ვერავითარი საოცარი ხელოვნებითა და მანქანებით ვერ მოახერხებდა.

მარგალიტს ამზადებს და თავ-ს ნიჟარაში აგროვებს ერთი ლოკოკინასნაირი ცხოველი. ეს ცხოველი ჩჩვილ-ხორციანებს ეკუთვნის და ეწოდება მარგალიტის ნიჟარა (Avicula meleagrina). მარგალიტს ეს ცხოველი აგროვებს თავის თხელ კანსა (გარსსა) და ნიჟარას შუა. როცა სულ მცირე რამ მოექცევა ცხოველს ნიჟარაში, იგი მაშინვე მარგალიტის მზადებას იწყებს. ასეთი მცირე რამ, სულ ერთია, რაც უნდა იყოს: მწერი, ქვიშა და ხის ნამცეცი. მაშასადამე, მარგალიტის მზადება ცხოველისათვის ავათმყოფობას წარმოადგენს: მარგალიტს მაშინ დებს, როცა რამე აწუხებს. რაკი ერთხელ დაიწყო მარგალიტის დება ცხოველმა, მერე სიკვდილამდე ამზადებს. ხოლო კარგი მარგალიტი ექვს წელს უნდა მზადდებოდეს. ეს რომ შეამჩნიეს, მას აქეთ ცდილობენ ხელოვნებით, ძალდატანებით მოამზადებინონ ცხოველს მარგალიტი. მართლაც, ამბობენ, ლინეიმ (შვედელი მეცნიერია მე-XVIII საუკუნ.) ამნაირათ მარგალიტი მიიღოვო. მაგრამ ეს ხელოვნება ევროპიელებზე ადრე ჩინელებმა თურმე იცოდენ. ის კია, რომ ასე ძალათ მომზადებული მარგალიტი ისეთი ღირსებისა არ არის და ნაკლებადაც გამოაქვთ გასაყიდლათ. მარგალიტს ამზადებენ მდინარეში და ზღვებში მცხოვრები ჩჩვილ-ხორციანები.



მარგალიტის ნიჟარა.

(შემდეგი იქნება)

## მომავალში საქართველოს შვილთა მოქმედების პროგრამა

Ecumons la mer sombre,
Pillons l'océan vert.

ბევრჯელ მქონია ჩემ მეგობრებთან ლაპარაკი ჩვენ შინაურ საქმეებზე და, უნდა გულახდით მოგახსენოთ, ყოველთვის გულ-გატეხილი და უიმედობით სავსე გამოვმშვიდობებივარ მათ. რათაო, იკითხავს გაკვირვებული მკითხველი, საუიმედო რა გვჭირს? გული რისთვის უნდა გავიტეხოთ ბრწყინვალე მომავალზე, როდესაც კარგათ ვხედავთ ჩვენსავე წინმსვლელობას, როდესაც ისე დღე არ გაივლის, რომ რაიმე ქვეყნისთვის სასარგებლო აზრი არ გამოითქვას ჩვენში, როდესაც გვაქვს ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა, დაგვიარსებია ათიოდე სკოლა, საცა ჩვენ სამშობლო ენას ფართო ადგილი უკავია, გვაქვს აგრეთვე ორი ბანკი, რომლის მოგებიდან სხვა-და-სხვა საქვეყნოთ სასარგებლო საქმეებს ხმარდება ფული, ორი წიგნების გამომცემელი ამხანაგობა, წერა-კითხვისა, დრამატიული და სხვა საზოგადოებები. ამასთან ნუ დაივიწყებთ, დაუმატებს იგივე მკითხველი, რომ ჩვენ ქართველებს გვყავს: საკუთარი პედაგოგები, ისტორიკოსები, გრამატიკოსები, არხეოლოგოსები, პოეტები, მწერლები, პუბლიცისტები, და სხვა...

სხვა რა გინდა? აი, ჩვენი საკუთარი ცხოვრების ფიზიონომია. შენ თუ პესსიმისტი ხარ, რას გვერჩი, რას გვემართლები? უიმედობას რათ გვინერგავ გულში, რათ გვიცრუებ იმედებსა?..

— ცალიერ იმედებით ვის უცხოვრია, ჩემო კარგო მკითხველო, რომ ჩვენ, ქართველებმა, ვიცხოვროთ.

„აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო“, ნუ ცხარობ, დამშვიდდი და მოგახსენებ, თუ რა ცოტა საიმედო-სანუგეშო გვქონია ჩვენ ახლა.

წერა-კითხვის საზოგადოება გვაქვსო, წერა-კითხვის საზოგადოება, ყველა ამას გაიძახით. მერე, რას გვიკეთებს ეს წერა-კითხვის საზოგადოება? ამ რაღაც თოთხმეტი წლის განმავლობაში რა გაგვიკეთა იმის მეტი, რომ ვაი-ვაგლახით ასრულებდა და ასრულებს რაღაც შვიდიოდე მეანბანეთა მოვალეობას და ბ-ნ გოგებაშვილის დედა-ენის მექარხნეობას. ეს არის და ესა, მეტი ხომ არაფერი? განა ბ-ნ გოგებაშვილის დედა-ენის დაბეჭდვას და შვიდიოდე მეანბანეთა მოვალეობის ასრულებას მთელი საზოგადოების დაარსება სჭირია? ერთი გულშემატკივარი ქართველი და ზაქარია ჭიჭინაძე, თუ კი იკადრებს ეს უკანასკნელი მისანდობ გამოცემას, მთლათ აუვიდოდენ ამ შემთხვევაში მთელ საქმეს წერა-კითხვის საზოგადოებისას. ამასაც გაიძახით ხოლმე მუდამ, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ საშვილიშვილოთ შეგვძინა ფასდაუდებელი საუნჯე, ე. ი. ძველი ხელთნაწერების ბიბლიოთეკა. ამ განძის შეძენაში მე არავითარს გარჯას და მეცადინეობას წერა-კითხვის საზოგადოების წევრებისას არც ვხედავდი და არცა ვხედავ. ქართველებმა შეიგნეს, რომ ძველი ხელთნაწერები საშვილიშვილოთ სადმე დაცულ უნდა ყოფილიყო. იმ დროს, როგორც მოგეხსენებათ, არსებობდა ჩვენში ერთად-ერთი წერა-კითხვის საზოგადოება, რომლ-ს სარგებლობაზე ხალხში და ჟურნალ-გაზეთობაში დიდი აზრი იყო შემდგარი. ქართველებმაც აიღეს მთელი თავის ხელთნაწერები, სიგელები, გუჯრები, ნივთები და ჩააბარეს მას იმ ანდაზის მიხედვით, რომ „ავია, თუ კარგიაო, ქალო, შენი ქმარიაო“. ღვაწლი წერა-კითხვის საზოგადოებისა? დიახ, როგორ არა!.. შესანიშნავი ხელთნაწერების მოსაგროვებლათ წევრი-წევრს არ მისდევდა სპარსეთში, ოსმალოში, რომში და რის ვაივაგლახითა და წვალებით არ აგროვებდენ მათ საშვილიშვილოთ შესანახავათ?.

დრამატიული საზოგადოება? ერთი მითხარით, რომელი შესანიშნავი არტისტები შესძინა ამ საზოგადოებამ ქართულ სცენას? რომელი პიესით გაამდიდრა ჩვენი რეპერტუარი? ახნინონიების წარმოდგენების მართვით, განა თქვენა გგონიათ, ზნეობით აამაღლებდა საზოგადოებას, შეაყვარებდა სამშობლო ხელოვნებას და გაუღვიძებდა მას თვითცნობიერებას? მაშ რის დანიშნულებას ასრულებს ეს ჩვენთვის ფუჭად მომქმედი საზოგადოებაც, რისთვის ბოგინობს იგი საქართველოს დედა ქალაქში? როგორ თუ რისთვის? განა არ იცით, რომ იგი გაჰხდარა სნეულთა, საყართა, გადაყრუებულთა, ჩარა გამოწყვეტილთ მისაყრდნობი, ქსენონი, ნაჩლეჭნი პრიუტი? მართლაცა და ამ საზოგადოების მოგონებით უნებლიეთ წამოიძახებთ: კირიელეისონ და ზეცისკენ თვალებს მიბინდავთ...

რას როშავს ეს უმადურიო, გაფითრებულ ტუჩების კანკალით წამოიყრანტალებს გულმოსული მომხრე ამ „ბაგადელნი“ ისა. განა რეპერტუარს, ბუტაფორტს, ტანთსაცმელსა და სხვას შენახვა თადარიგი არ უნდაო? განა ეს კი შრომა არ არისო? — ვინ ამბობს, კაცო, შრომაა, მაგრამ ისეთი შრომა, რომელსაკ უფრო უკეთესათ გაუძღვებოდა მაკრინე გოგო გუნიას ზედამხედველობით. რა დიდი მოვლა დასჭირდებოდა ერთ კუთხეში მოსათავსებელ ხარა ხურასა და ჩვრებს? ახლა თუ მაკრინე გოგო არ დაუჭერია საზოგადოებას, გუნიასათვის იგი არ ჩაუბარებია, ეს იმას გვიმტკიცებს, რომ საზოგადოებას თავათ საქმე არა აქვს რა და თითონვე მაკრინეობს — გუნიაობს...

თფილისის წიგნების გამომცემელი ამხანაგობა იგივე მაჩხაანის დეპო-კასაა. განსხვავება იმ



მოყურყუმელავე ასი ფუტის სიღრმეში.

აშია მხოლოთ, რომ მაიჩხაანის დეპო-კასაში ჩით-ფართლებს ასაღებენ, აქ კი სამზარეულო წიგნებს, იქ მეტოქეობა გაუწიეს მყელეფავ-ჩარჩებს, აქ კი ვითომდა ახპატელოვებსა, იქ გულახდით გვარწმუნებენ, ღმერთმანი, ჩარჩები არა ვართო, აქ კი ურცხვათ ახპატელოობენ.

ახპატელოობენ კი არა და უარესობენ კიდეც. ბატონებო, ახპატელოვები ისეთისავე განვითარების პატრონები არიან, რა განვითარების ხალხსაც აწვდიან თავიანთ უაზრო გამოცემებს. მაშასადამე, იმათ არც იმდენი მოეთხოვებათ, ინსტიკტიურათ სარგებლობდენ დაბალი ხალხის სუსტი მხრით, ესე იგი ავისა და კარგის ნაწერების ვერ გარჩევით.

წიგნების გამომც. ამხანაგობის წევრები კი თავის თავს ინტელიგენტებით სთვლიან, ვითომც ე ქვეყნის დახსნის ბაირაღს აფრიალებენ, მაგრამ წმინდა მოვალეობას კი ყოველთვის ღალატობენ: რაც ფარსაგი და ჩვენთვის საჭიროა, რომ დაბიო ხალხმა წაიკითხოს, იმას სამკეც ფასს აწერენ და მიტომ ისინი საწყობში ულპებათ კიდეც, ხოლო რაც შეეხება ბოზბაშის გაკეთებას, ჩიხირთმის შეზავებას, ამისთანაებზე კი შედარებით ზომიერი ფასიც აქვსთ დანიშნული და ორი გამოცემაც გაუსაღებიათ. ამას წინათ სახალხო წიგნების დამბეჭდავ ამხანაგობას გულით უნდოდა ერთ-ერთ წიგნში მოექცია აკაკის „ღამურა“. რადგანაც აკაკის მიუყიდნია ყოველი თავის თხზულება [დაწერილი და თურმე დაუწერავიც (?)] თბილისის წიგ. გამ. ამხან. ამიტომ ზემოაღნიშნულ საზოგადოებამ მიმართა მათ თხოვნით, დაგვითმეთ ერთი ლექსიო, მარა ამაზე ცივი უარი მოუვიდა მისგან: „ჩვენევ უნდა ვისარგებლოთ ჩვენივე ნაყიდითო“.

ახლაც იტყვით ბატონებო დეპო-კასები ზეცის მანანაო ჩვენი ხალხისთვის? წინათ თუ—იანცები ჩარჩობდენ, ახლა შვილები და ძეები ჩარჩობენ. ადრე თუ უსწავლელი პოიოები მამასისხლათ ასაღებდენ ხალხზე დამპალ-დუმპალსა, ახლა კაკარდიანი—ინტელიგენტები. მორჩა და გათავდა.

ქუთაისის წიგნების გამომცემელი საზოგადოება სალათას ძილმა შეიპყრო. მგონი შარშან ზამთარს „ვარადავოებმა“ მის წევრები კონდახის ცემით გამოაღვიძეს, მაწანწალა ლოთები ჰკონებიათ. ერთი კი გაიზმუილეს, იმ ზმუილით შეგვატყობიეს, რომ ცოცხლები ვართ, ჯერ არ დავხოცილვართო, მაგრამ ისევ ისე მიიძინეს. იმოდენა ხანი სძინავთ ამ უბედურებს, რომ ადრე თუ გვიან მაინც პოლიცია გარეკავს მათ, რადგანაც თავ-მოყრილ საზოგადოებას არც საერთო ძილისა და არც საერთო ფხიზლობის ნებას არ აძლევენო... ახლა მიბძანეთ, ოპტიმისტო მკითხველო, ნუ თუ ამ მცონარა, ლაჩარ საზოგადოების არსებობამაც გაგიღვიძა გულში იმედები ბრწყინვალე მომავალზე? ხა! ხა! ხა! ხა!..

ბალტაზარი

(შემდეგი იქნება)

## გაკვირვებითი ნიშანი

(წერილი რედაქციას)

„ივერიის“ №№ წავიკითხე მეტათ სასიამოვნო ამბავი: ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება და ქვეყნათ გამოვა სამ წიგნათ „კ. მესხის დრამატიული ნაწარმოებიო“. რასაკვირველია, რომ ამ ამბავმა სხვათა შორის მეც გამახარა, როგორც დრამატიულ ხელოვნების მოყვარე და მისი ერთი მცირე მოსამსახურე. გამეხარდა, რომ ჩვენი დრამატიული ლიტერატურის სიცარიელეს ალაგი უმშვენდებოდა და კ. მესხისთანა ღირსეული მსახიობისა და დრამატურგის ნაწარმოები საქვეყნო ხელ-მოსაკიდებელ საგნათ იქცეოდა, თუმცა ერთმა რამემ ცოტა არ იყოს გამაკვირვა. გამაკვირვა ერთმა პიესამ („ჭირვეული ცოლის მორჯულება“, შექსპირისა), რომელიც საზოგადო სიაში მოქცეულიყო, მიტომ რომ ეგ პიესა თვით ბ. კ. მესხის თხოვნით თქვენი მორჩილი მონის გადათარგმნილია და კ. მესხისავე რეჟისორობით (რასაც მაშინდელი აფიშები * ამ-

*) ეს აფიშა რედაქციამ მიიღო. რედ.

ტკიცებენ, რომელსაც ამასთანავე გიგზავნით) მგონი ორჯერაც არის წარმოდგენილი ქუთაისის სცენაზე იმ ტიტლოთი, რომ თარგმანი ქუჯის არისო. ახლა ცოდვილი კაცი ვარ და ეჭვი შემივიდა... მაგრამ რა საჭიროა თუ რაზე. მე მხოლოთ მინდოდა, რომ იმ განცხადებისათვის ერთს ალაგას, სადაც ზემოხსენებული პიესის სახელი არის ჩართული, ფრჩხილებში გაკვირვებითი ნიშანი და sic დამესვა. ეს კიდეც შევასრულე ჩემს სახლში, მაგრამ სხვა მრავალი ხომ ვერ დაინახავდა და ამიტომ, რაკი იმედა მქონდა პატივცემული რედაქცია უარს არ ეტყოდა ამ გაკვირვებით ნიშანს, ვისურვე სხვებისთვისაც გამეზიარებინა, რომ იმ სიას პიესებისას, რომელსაც მალე დაბეჭდავა მოელის, ერთგან ჩემი გაკვირვება თან ახლავს...

რასაკვირველია, არც ბ. კ. მესხის სახელსა და დიდებას მაგ ერთი თუნდა შექსპირის გადმოქართულებითაც შეემინება რამე და არც თქვენი მონა-მოსამსახურის სალიტერატურო საგზალს მოაკლდება ბევრი რამე, თუ კი ეს საგზალი მას სადმე მოეპოვება, მაგრამ რაღაც გული დაწყდება კაცს ისე უწყალოთ რომ თუ ოფლი არა მღვანი მაინც დაუღვრია სუფთა ქაღალდზე და ბოლოს კი ამ „ბურჯალსაც“ მისთვის ამაოთ ჩაუვლია სხვისდა სასარგებლოთ. არ იქნება გასაკვირი, თუ კი ასე დაემართება ზოგიერთ დამწყებ ,,მობურჯალეს‘‘, რომ მომავალს „შრომას“ დაუფრთხეს და სადმე მიემალოს. აი, ამ გვარი მიზეზები რომ წამომეშალა თვალწინ, მიტომ ეს ერთი პაწია გაკვირვება წამომცდა, თორემ ისე პირადათ ჩემთვის ვისაც უნდა დავარწმუნებ, რომ ოღონდ კი გამრავლდებოდეს რიგიანი პიესები, ორგინალური თუ თარგმანი, წინ წაიწევდეს ცოტათი მაინც ჩვენი დრამატიული ლიტერატურა და ხელოვნება, თორემ სახელი ვისი იქნება, სახრავი ვის ექმნება,—ეგ ჩემთვის სულ ერთია.

ქეჟი

---

# საშინელი ქარიშხალი

(გაგრძელება მოთხრობისა „პირველი ტალღები“)

შემდეგი *)

## XI

მოითმინეთ, მოითმინეთ, კერძო მსჯელობა არ შეიძლება, ამშვიდებდა ცოტას ხანს შემდეგ უგანათლებულესი კნეინა საზოგადოებას: გრაფინიას სურს თავისი აზრის გამოთქმა და მოისმინეთ! ყველანი დაჩუმდენ და მიაპყრეს თვალები გრაფინია სენჟანდენისას. გრაფინია სენჟანდენისა, როგორც უგანათლებულესი კნეინაც, შვილი იყო ერთ-ერთ დასავლეთ საქართველოს ღარიბ თავადიშვილისა. სწავლის დამთავრებას შემდეგ ერთ-ერთ საქალებო სასწავლებელთაგანში, უნახავს იგი საფრანგეთელ გრაფს სენჟანდენს, მოსწონებია და ჯვარი დაუწერია. ამ ნაირათ გრაფინიას შემთხვევა ჰქონია ბევრი რამე ენახა, ბევრი რამე გაეგონა და ისიც, როგორც ბუნებით ნიჭიერი ქალი, სარგებლობდა თავის მდგომარეობით და ცივილიზაციის მარტო გარევანი ფორმით კი არ დაკმაყოფილებულა, როგორც უგანათლებულესი კნეინა, გულიც გაუსინჯა მას. ამიტომაც იყო, რომ მის მსჯელობას, საფუძვლიანობა და საქმის ცოდნა ეტყობოდა ყოველთვის და, თუ უგანათლებულესი კნეინა ფორმალურათ ხელმძღვანელობდა კნეინა ბარბალეს საღამოებს, გრაფინია მიმართულებას აძლევდა ხოლმე მსჯელობას და ყოველთვის უკანასკნელი სიტყვა მისი იყო.

— სწორეთ მართალს ბრძანებს მელიტონ სპი-

*) იხ. „კვალი“ № 31

რდონიჩი, დაიწყო გრაფინიამ დინჯათ და აღუშფოთებლათ: საზოგადოების, ერის სნეულებათ პალიატიური საშუალებების ხმარება ვერას უშველის. ეს დიდი ხანია შეიგნეს განათლებულმა ხალხებმა და ცდილობენ ყოველ სნეულობას რადიკალური წამალი მოუძებნონ და სენი სათავეშივე მოსპონ სრულიათ. ამისთანა საშუალება ხალხის ასამაღლებლათ გონებრივათ და ზნეობრივათ გახლავსთ მოზარდი თაობის აღზრდა რიგიანათ და წესიერათ. დიახ, სხვა-და-სხვა საზოგადოებათა დაარსება ვერას გვიშველის! ჩვენ უნდა ვეცადოთ მხოლოთ მომავალ თაობის გაუკეთესებას აღზრდის საშუალებით, ახლანდელი თაობის საქმე კი წასულია! ამიტომაც შკოლებია' ბატონებო, ჩვენთვის საჭირო, რიგიანი, დროის და გარემოების შესაფერი შკოლები და არა ,,Общество трезвости" და სხვა ამისთანა დაწესებულებები! მტკიცეთ წარმოთქვა გრაფინიამ და გაჩუმდა. ამ სიტყვებს შემდეგ სრული სიჩუმე ჩამოვარდა; ეტყობოდათ, რომ პასუხის თქმას ვეღარავინ ჰბედავდა. ამ დროს წამოხტა დათა და ხმის კანკალით მიჰმართა უგანათლებულეს კნეინას.

— თუ ნებას მომცემთ, მეც მოგახსენებთ რამოდენიმე სიტყვას! ყველამ დათასკენ გაიხედა.

— ბრძანეთ! ამაყათ უთხრა კნეინა №-ისამ და შეაშტერა ფართოთ გაღებული თვალები დათას, თითქოს დაბნევა უნდა მისიო, მაგრამ დათამ მოაშორა მას თვალი და დაიწყო ჯერ ნელა, ხოლო მერე და მერე კი გაცხოველდა და თამამათ ლაპარაკობდა. დათაზე ნაკლებ აღარც მარო და კოწია ჰღელავდნენ; ნამეტურ დაწყების დროს მაროს ძალიან ეშინოდა, უხერხულათ არაფერი წამოცდეს და არ შერცხვესო, რადგან იცოდა, რომ დათა პირველათ იყო ამნაირ საზოგადოებაში.

— პირველათ ერთი კითხვა უნდა მივცე პატივცემულ ექიმს მელიტონ ზონარიძეს! თქვა დათამ და შეხედა მელიტონს: თქვენ ბრძანეთ, ბატონო, რომ ყველაფერი დროზეა დამოკიდებული და მასთან ბრძოლა შეუძლებელია. ამ აზრის დასამტკიცებლათ მოიყვანეთ მაგალითები უსულო ბუნებიდან. მართლაც, ბუნების უსულო საგნებს, რასაკვირველია, არაფერი შეუძლიათ დროს წინააღმდეგ და სრულიად უნდა დაემორჩილონ მის ზეგავლენას, მაგრამ პირუტყვებიც კი ბრმათ არ ემორჩილებიან დროს. შეიტყობენ თუ არა, მაგალითათ, ფრინველები ზამთრის მოახლოვებას, ან თბილ ქვეყნებში მიდიან, ან აქავე ემზადებიან მის დასახვედრათ. ასევე იქცევიან ყველა სხვა ცხოველებიც, გარდა სუსტ ბუზებისა და პეპლებისა, რომელნიც მხოლოთ ერთ ზაფხულს ცოცხლობენ, და, ასე თუ ისე, ებრძვიან დროს: თუმცა მისი შეცვლა არ შეუძლიათ საზოგადოთ, კერძოთ თავისთვის მაინც ამცირებენ მის გავლენას. თუ პირუტყვები ასე იქცევიან, ნუ თუ ჩვენ ადამიანები, რომელთაც იმისთანა ყოველის შემძლებელი იარაღი გვაქვს ხელთ, როგორიც არის ჭკუა და მოხერხება, გარშემო პირობებთან საბრძოლველათ, ბრმათ უნდა დავემორჩილოთ ყველაფერს და ჩვენ თითონ კი ხელები არ უნდა გავანძრიოთ? ნუ თუ ჩვენ არ უნდა ვიმოქმედოთ და გულხელ დაკრეფილნი ვისხდეთ, აცა როდის შეიცვლება დროვო?

— რასაკვირველია, რაც შეგვეძლია, უნდა ვიმოქმედოთ! მიუგო მელიტონმა წყნარა: გულხელდაკრეფილი რომ დავსხდეთ შიმშილით დავიხოცებით...

— კეთილი, განაგრძო დათამ: მაშ, უნდა ვიმოქმედოთ! მაგრამ მოქმედებაც არის და მოქმედებაც! ზოგიერთის მოქმედება მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ დუქანში, ან სასტუმროში შევიდეს და მზა-მზარეულ სუფრას მიუჯდეს. თქვენ, როგორც ვიცი, მარტო ამისთანა მოქმედებას არ დასჯერდით და, შეიტყვეთ რა, რომ უჭირს ჩვენს ხალხს უექიმობის გამო, ყოველ ღონეს ხმარობთ დაუახლოვდეთ მას და შემწეობა აღმოუჩინოთ. ჩვენც ყველამ სწორეთ თქვენსავით უნდა ვიმოქმედოთ, რაკი შევიტყვეთ, რაც უჭირს დღეს ჩვენს საზოგადოებას და ვეცადოთ მის განვითარებას, გონებრივ და ზნეობრივ ძალით აღჭურვას! რაში უნდა მდგომარეობდეს ჩვენი მოქმედება ამ მხრით?.. აქ ორი აზრი წარმოითქვა ამის შესახებ: ერთი ბატონ გურგენიძისა, რომელსაც ეთანხმება აგრეთვე ექიმი კახაბერიძეც და მეორე ქალბატონ გრაფინიასი. მე ვეთანხმები პატივცემულ გრაფინიას და მასთან ერთათ ვიტყვი, რომ ჩვენთვის სკოლებია საჭირო მომავალის თაობის გასაკარგებლათ და არა ,,Общество трезвости"-

სთანა საზოგადოებები ახლანდელების გამოსაბრუნებლათ, რომელთა საქმეც წასულია, მაგრამ შკოლაც არის და შკოლაც! ახლაც ბევრი შკოლა გვაქვს, მაგრამ როგორც ვხედავთ, ისინი ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას. მაშასადამე, ჩვენთვის სხვანაირი შკოლები ყოფილა საჭირო და ჩვენც სწორეთ ამ ჩვენთვის გამოსადეგი, დროის, გარემოების შესაფერი, როგორც გრაფინიამ ბრძანა, შკოლების დაარსებას უნდა მივყოთ ხელი, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, აქ ერთი გარამოება გველობება წინ და ნებას არ გვაძლევს, ჩვენი ძალ-ღონე ისე მოვიხმაროთ, როგორც ჩვენ გვინდა!.. აქ ნება მიბოძეთ ერთი მაგალითი მოვიყვანო: ბავშს დაუყენეს მზრუნველი, რომელიც განაგებს მის საქმეებს. ბავში გაიზარდა, ჭკუაში ჩავარდა და ჰხედავს, რომ მისი საცხოვრებელი იფლანგება, ფუჭდება და უცოდინარობისა, თუ პირადის სარგებლობის გამო მისი მზრუნველი ისე არ იქცევა, როგორც მისთვის სჯობს. ამისთანა შემთხვევაში როგორ უნთა მოიქცეს ეს მზრუნველობის ქვეშ მყოფი?.. იკითხა დათამ და შეჩერდა.

— უნდა ეცადოს, რომ თითონვე მოუაროს თავის საცხოვრებელს! მიუგო ღიმილით კოწიამ.

— მაშასადამე ცხადია, ბატონებო, რას უნდა მივაქციოთ ამ ჟამათ მთელი ჩვენი ყურადღება?.. დათამ შემოავლო თვალი კრებას და დააბოლოვა თავისი სიტყვა: მე გავათავე, რაც მინდოდა მეთქვა, და ბოდიშს ვიხდი ასე გრძლათ ლაპარაკისთვის.

— უუჰ, ამოიხვნეშა უგანათლებულესმა კნეინამ, როცა დათა დაჯდა და დახედა საათს. — თერთმეტი საათი სრულდება კიდევ ც; დაშლის დროა! ყოველ შემთხვევაში მიზანს მივაღწიეთ: მთელი საღამო გავატარეთ ისე, რომ არც ქაღალდი გვითამაშნია და არც გვილოთნია, დაუმატა მან და ადგა; სხვებიც აჰყვენ და, დათას სიტყვების შესახებ არავის არაფერი უთქვამს, ისე დაიშალენ.

— მობრძანდებოდეთ ხოლმე! უთხრა მასპინძელმა დათას, როცა უკანასკნელი გამოესალმა და მაროსთან და კოწიასთან ერთათ გავიდა დერეფანში. .

უგანათლებულესი კნეინა ხელგაყრილი ჩაჰყავდა მელიტონ ზონარიძეს კიბეზე, როცა თავადი სანდრო და გურგენ გურგენიძე დაუმხარდამხარდენ მათ.

— ბიჭო, წამოდი გუშინდელ მოგების მაგიერი უნდა გადაგიხადო ნარდში! მიუბრუნდა უგანათლებულესი კნეინა სანდროს.

— რომ კიდევ წააგოთ? ღიმილით ჰკითხა სანდრომ.

— ერთათ მოგცემ გუშინდელ და დღევანდელ წაგებულს.

— კარგი! თქვა სანდრომ და გაჰყვა კნეინას. გურგენმა შეიტყო, რომ სანდროს მისთვის აღარ ეცალა ამაღამ, და მოეცადა ნესტორ მაჩიტაძეს, რომელიც პრანჭვა-გრეხით მოჰყვებოდა კნეინა კატოს და რაღაცას ეჩურჩულებოდა სიცილით; კატოც ცბიერათ იღიმებოდა. ეტყობოდა, რომ ეს ორი ერთმანეთის შესაფერი წყვილი იყო და ბედნიერათ გრძნობდენ ერთათ თავს!..

ლელუ მეგრელი.

(შემდეგი იქნება)

შეცდომის გასწორება: „კვალის“ № 31-ში მეორე გვერდზე შეცდომით დასტამბულია 69, უნდა იყოს კი 71; აგრეთვე დასტამბულია 1826 წ., უნდა იყოს კი 1824წ. ამავე სტატიაში წერია 2,100 მ., უნდა იყოს 21,100 მ. „კვალის“ მე-32 №-ში მორე გვერდის მეორე სვეტზე მე-22-ე სტრიქონში დასტამბულია „და რქვა“; „და“ აქ მეტია, უნდა იყოს „რქვა“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.


# „კვალი“

ხელის მოწერა „კვალზე“ ამ 1895 წელს განიგრძობა წლიურათ და ღირს 8 მანეთი. ვისაც მეორე ნახევარი წლის ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქარონ ფულის შემოტანა. ხოლო ვისაც სურს გაზეთის ახლათ დაბარება ნახევარი წლით დამდეგის ივლისის თვიდან, უმორჩილესათ ვთხოვთ მათ დროით შეგვატყობინონ.

გაზეთი ნახევარი წლით ღირს გაგზავნით — 4 მანეთი, სამი თვით — 2 მანეთი, ორი თვით — 1 მანეთი და 50 კ., ერთი თვით — 1 მანეთი. ადრესის გამოცვლა ღირს 60 კ.


Доз. цен. Гифисъ, 29-го Юля 1895 г. (§) Тип. М. Д, Ротиніанца (სტამბა, მ. დ. როტინიანცისა) Гол. пр., д. 41

# ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოთ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ქვემო აღნიშნულ რიცხვებში ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გაყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გადასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გაყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანხმათ ბანკის წესდების მე-19 §-ისა შეავსებენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდან ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლათ დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოთ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროთ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთათ და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მეყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდათ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიათ გასაყიდელთ მამულთ აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შედგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშნება, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, 20 სეკტემბერს 1895 წ.

ვაჭრობაა დანიშნული 30 აგვისტოს 1895 წელსა.

$18^7/_{12}$ და $19^{11}/_{12}$ წლიანნი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

დარასველიძისა მიხაილ ერასტის ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი ერთი ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი და მიწა 312 კვადრ. საქ. თავნი ვალი 564 მ. 54 კ. შეს. გარდ. 397 მ. 54 კ. სულ 961 მ. 76 კაპ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა $103^1/_2$ კვადრ. საქ. თავნი ვალი 22 მან. 75 კ. შეს. გარდ. 261 მ. 70 კ. სულ 284 მან. 45 კ.

დიასამიძეთა: ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საქ. თავ. ვალი 152 მან. 54 კ. შეს. გარდ. 264 მ. 66 კ. სულ 417 მ. 20 კაპ.

მურევანოვისა პეტრე სიმონის ძის სილაზე ერთ სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 210 კვ. საქ. თავ, ვალი 28 მ. 7 კაპ. შეს. გარდ. 38 მან. სულ 66 მან. 7 კაპ.

ალიბეგოვთა, იოსებ, ალექსანდრე და ივანე ხვთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვად. საქ. თავ. ვალი 160 მ. 78 კაპ. შეს. გარდ. 104 მან. 98 კ. სულ 265 მ. 76 კ.

ჩოგოვაძისა ვასილ ოქროპირის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საქ. თავ. ვალი 80 მ. 24 კ. შეს. გად. 64 მ. 57 კ. სულ 144 მ. 81 კ.

ლორთქიფანიძისა ნიკოლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საქ. თავ. ვალი 312 მ. 78 კ. შეს. გარდ. 184 მ. 83 კ. სულ 497 მ. 61 კ.

რუხაძისა ლევან გიორგის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა $46^1/_2$ კვ. საქ. თავ. ვალი 104 მ. 57 კ. შეს. გარდ. 62 მ. 56 კ., სულ 167 მ. 13 კ.

ფიჩხაძისა აბრამ და ისხაკ ფილხანზის

ძეთა: ბაზრის ქუჩ. ერთსართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 9 კვად. საჟ. და 1 კვ. ალაბი. თავ. ვალი 1019 მ. 88 კ. შეს. გარდ. 397 მან. 40 კაპ., სულ 1417 მან. 28 კაპ.

ხანანაშვილისა შაბათა ისხაკის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 189 კვ. საჟ. თავ. ვალ. 637 მ. 33 კ. შესატ. გარდ. 235 მ. 67 კ., სულ 873 მან.

სურციძისა თედორე ვახუშტის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი, დუქანი და მიწა 860 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 105 მ. 98 კ. შეს. გარდ. 48 მ. 70 კ. სულ 154 კ., 68 კ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა ელისაბედ სიმონის ასულის: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურისა ორი ხის სახლი და მიწა 1000 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 233 მ. 67 კ. შეს. გარდ. 125 მ. 64 კ. სულ 359 მ. 31 კ.

ჩიკვაიძისა მიხაილ თომას ძის: სილაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 106 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 212 მ. 47 კ. შეს. გარდ. 79 მ. 41 კაპ, სულ 290 მან. 18 კაპ.

ალავიძეთა ნიკოლოზ და ნოშრევან ოქროპირის ძეთა: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 224 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 299 მ. 93 კ. შეს. გარ. 96 მან. 35 კ. სულ 396 მ. 28 კ.

კანდელაკისა დომენტი სიმონის ძის: რიონის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 კვადრ. საჟ თავ. ვალი 250 მ. შეს. გად. 97 მ. 81 კ. სულ 347 მ. 81 კაპ.

მაღლაფერიძისა თომა მამუკას ძის და კვესელავასი ყარამან მიხაილის ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 215 კვად. საჟ. თავ. ვალი 250 მან. შეს. გარდ. 106 მ. 16 კ. სულ 356 მ. 16 კ.

ცქიტიშვილისა ფილიპე ზაალის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 50 მან. 3 კაპ. შეს. გარდ. 33 მან. 16 კ. სულ 83 მ. 19 კ.

შამუგაშვილისა შალომ აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8 კვადრ. საჟ. და 5 კვადრ. ალაბი. თავ. ვალი 1049 მ. 75 კ. შეს. გარდ. 324 მ. 88 კ., სულ 1374 მ. 63 კ.

ბუზიაშვილთა ისრაილ ელოს ძის: შამოელა, მიხაილ და რაფიელ ისხაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15 კვადრ. საჟ. და 5 კვ. ალაბი. თავ. ვალი 1145 მან. 59 კ. შეს. გად. 358 მან. 32 კაპ. სულ 1503 მ. 91 კ.

მურადოვისა ეკატერინა მელქონის ასულის და ნიკოლაიშვილისა, ოქროპირ როსტომის ძის: ალექსანდრეს ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 145 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 1431 მ. 72 კ., შეს, გარ. 160 მ. 48 კ. სულ 1592 მ. 20 კ.

ხმალაძისა პავლე სპირიდონის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 8 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 5072 მ. 70 კ. შეს. გარ. 137 მ. 75 კ., სულ 710 მ. 45 კ.

უტულოვისა მარიამ ალექსის ასულის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 128,5 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 585 მ. 65 კ. შეს. გარ. 157 მ. 37 კ.სულ 743 მ. 2 კ.

ჯინოშვილისა პავლე ივანეს ძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 434 კვ. საჟ თავ. ვალ. 2509 მ. 35 კ. შეს. გარ. 623 მ. 2 კ., სულ 3132 მ. 37 კაპ.

ისაევისა მიხაილ პეტრეს ძის: უსახელო ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 254 კ. საჟ. თავ. ვალი 321 მ. 55 კ. შეს. გ. 101 მ. 64 კ., სულ 423 მ. 19 კაპ.

ჩარექოვისა პეტრე იოსების ძის: ქარავან-სარაის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 148 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 1608 49 კაპ. შეს. გარ. 403 მან. 99 კ., სულ 2012 მ. 48 კ.

შავგულიძეთა: პავლე და ლევან გიორგის ძეთა, და დიმიტრი გრიგოლის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 215 კვადრ. საჟ. თავ. 482 მან. 48 კ. შეს. გარ 112 მ. 89 კაპ. სულ 595 მ. 37 კ.

შავგულიძისა თედორე სიმონის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 395 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 128 მ. 68 კ. შეს. გად. 55 მ. 47 კ., სულ 184 მ. 15 კ.

ბინიაურიშვილისა აბრამ მოშას ძის გელათის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 77 1/2 კვ. საჟ. თავ. ვალი 640 მ. 79 კაპ. შეს. გარ. 126 მ. 37 კ., სულ 767 მ. 16 კ.

ქორქაშვილისა მარიამ სიმონის ასულის და ქუთათელაძისა ივანე პაატას ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 345 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 712 მ. 1 კ. შეს. გარ. 135 მან. 33 კ., სულ 847 მ. 34 კ.

კატიოლკინისა მარიამ მიხაილის ასულის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 228 კვადრ. საჟ. თავ. ვალი 177 მ. 91 კ. შეს. გ.

69 მან. 39 კაპ., სულ 2.7 მ. 30 კ.

მეკინულოვისა იაკობ ისხაკის ძის: გაგარინის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 101 კვადრ. საქ. თავ. ვალი 961 მ. 28 კ. შეს გარ. 226 მ. 11 კ., სულ 1187 მ. 39 კ.

ნიკოლაევის ალექსანდრე ნიკოლოზის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 197 კვადრ. საქ. თავ. ვალი 498 მ. 43 კ. შეს. გარ. 1028 მან. 34 კაპ. სულ 626 მ. 77 კაპ.

რუხაძისა ლუკა ნიკოლოზის ძის: გევუთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 79,5 კვადრ. საქ. თავ. ვალი 177 მ. 93 კაპ. შეს. გარ. 54 მ. 35 კაპ., სულ 232 მან. 28 კაპ.

სვანიძისა ზაქარია ანტონის ძის: გევუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 70 კვად. საქ. თავ. ვალი 1068 მან. 6 კ. შეს. გარ 240 მან. 7 კაპ. სულ 13 8 მან. 13 კაპ.

ხანანაშვილისა შამუელა აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 3 კვად. თავ. ვალი 320 მ. 43 კ. შეს. გარ. 77 მ. 69 კაპ. სულ 398 მ. 12 კაპ.

იაკობიშვილისა ისხაკ და რაფაილ დავითის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 12,7 კვადრ. საქ. თავ. ვალი 1068 მ. 48 კ. შეს. გარ. 252 მ. 2[illegible] კ., სულ 1320 მან. 26 კ.

მოწყვეპლიშვილისა იოსებ ელიშაყას ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 98,7 კვადრ. საქ. თავ. ვალი 421 მან. 74 კ. შეს. გად. 81 მ. 97 კაპ., სულ 503 მ. 71 კ.

ქორქაშვილისა პეტრე ზურაბის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 119 კვად. საქ. თავ. ვალი 1686 მან. 78 კაპ. შეს. გარ. 183 მ. 26 კ., სულ 187. მ. 4 კ.

ოვანეზოვისა პეტრე ივანეს ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 81 კვ. საქ. თავ. ვალი 295 მ. 28 კ. შეს. გარ, 63 მ. 53 კ., სულ 358 მან. 81 კაპ.

პაპიაშვილისა აბრამ იოსების ძის და რუთა ყობოს ასულის: ებრაელის ქუჩაზე ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 86 კვადრ. საქ. თავ. ვალი 168 მ. 57 კაპ. შეს. გარ. 35 მ. 5 კ., სულ 203 მ. 62 კ.

რიჟინაშვილისა დავით ისრაილის ძის: პოლიციის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 160 კვადრ. საქ. თავენი ვალი 506 მ. 8 კაპ. შეს. გარ. 98 მან. 26 კაპ., სულ 604 მან. 34 კ.

რუხაძისა კესარია ათანასეს ასულის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 243 კვადრ. საქ. თავენი ვალი 337 მ. 36 კაპ. შეს გარ. 75 მ. 74 კ., სულ 413 მ. 10 კ.

ჩიკვაშვილისა იოხანან აბრამის ძის: ფრანგების ქუჩაზე ორი სახლი: ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი ხის და მიწა 161 კვ. საქ. თავ. ვალი 1054 მან. 25 კაპ. შეს. გარ. 224 მ. 95 კაპ., სულ 1279 მ. 20 კ.

შამელაშვილისა რიბკა დავითის ასულის: ურიების ქუჩის შესახვევში ერთ-სათრულიანი ხის სახლი და მიწა $23^{2}/_{3}$ კვადრ. საქ. თავენი ვალი 126 მ. 48 კ. შეს. გარ. 45 მ. 26 კაპ. სულ 171 მ. 74 კაპ.

შამელაშვილისა ისხაკ ელოს ძის: ურიების ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 21 კვადრ. საქ. თავ. ვალი 168 მ. 59 კ. შეს. გარ. 54 მ. 86 კაპ., სულ 223 მ. 45 კ.

შამოევისა მართა ტერ-გრიგოლის ასულის: პოლიციის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 158 კვადრ. საქ. თავ. ვალი 548 მ. 32 კაპ. შეს. გარა 147 მ. 14 კ., სულ 695 მ. 46 კ.

მემკვიდრეთა ერისთვისა დავით გრიგოლის ძის: ნემეცის ქუჩის შესახვევში ორი სახლი ერთი ქვითკირის ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი და მიწა 357 კვადრ. საქ. [illegible] ვალი 1686 მ. 77 კაპ. შეს. [illegible] 29[illegible] მ. 96 კ., სულ 1980 [illegible] კ.

ასლანიძის სიმონ იესეს ძის: ლეეაშოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 72 კვად. საქ. თავ. ვალი 186 მ. 95 კ. შეს. გარდ. 48 მ. 43 კ. სულ 235 მ. 38 კ.

ასათიანის ალექსი კაციას ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 120 კვადრ. საქ. თავ. ვალი 202 მ. 7 კ. შეს. გარდ. 44 მ. 49 კ. სულ 246 მ. 56 კ.

ერისთვისა ანასტასია ალექსის ასულის: ინგლისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 430 კვადრ. საქ. თავ. ვალი 5388 მან. 61 კაპ. შეს. გად. 705 მ. 66 კ. სულ 6094 მ. 27 კ.

გაბაევისა ისიდორე გიორგის ძის: ლაზარეთის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 248 კვადრ. საქ. თავენი ვალი 1744 მან. 12 კ. შეს. გარდ. 165 მ. 7 კ. სულ 1909 მან. 19 კ.

კლდიაშვილისა გიორგი დავითის ძის: მიხაილის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მაღაზიებით და მიწა 154 კვადრ. საქ. თავ. ვალი 2162 მ. 66 კ. შეს. გარდ. 227 მ. 35 კაპ., სულ 2390 მ. 1 კ.

ლორთქიფანიძისა ბარნაბა იოსების ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 55 კვადრ. საქ. თავ. ვალი